

# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

პროექტი: „ინფორმირებული ახალგაზრდები რაციონალური და გააზრებული  
მომავლისთვის”

განხორციელების არეალი: სამეგრელო ზემო-სვანეთი

პროექტის განხორციელების ვადები: 1 მაისი, 2018 წელი - 31 აგვისტო, 2018  
წელი

პროექტის სამიზნე ჯგუფები: ახალგაზრდა ამომრჩევლები

პროექტის დონორი: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების,  
რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. ცენტრალური საარჩევნო კომისია.

# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

## პროექტის მიზანი:

- ახალგაზრდა ამომრჩევლის აქტიურობის ზრდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინფორმირებისა და საარჩევნო განათლების ამაღლების ხელშეწყობის გზით.

## ამოცანები:

- ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება საარჩევნო უფლებებსა და მოვალეობებზე
- ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება საარჩევნო პროცესებზე და პროცედურებზე,
- ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდების როლზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

განხორციელებული აქტივობები:

პროექტის პრეზენტაცია: მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის, საოლქო საარჩევნო კომისიის, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უნივერსიტეტისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.



# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

შეხვედრების ფასილიტატორთა (4) ტრენინგი: ტრენინგი ჩატარდა თემაზე: როგორ უნდა ჩატარდეს სამართლიანი, გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საარჩევნო კანონმდებლობა, ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო პროცედურებისა და პროცესების სწორად წარმართვა და ახალგაზრდა ამომრჩეველთა უფლებები.



# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

საინფორმაციო მასალების მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება: მომზადდა, გამოიცა და დარიგდა საინფორმაციო მასალა ბუკლეტების სახით, სულ: 2000 (ორი ათასი) ცალი საარჩევნო ბუკლეტი საპრეზიდენტო არჩევნების თემაზე და სამახსოვრო ბრენდირებული საწერკალმები (300 ცალი) დონორისა და განმხორციელებელი ორგანიზაციის ლოგოთი.



# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

ჩატარდა 2 ორდღიანი ტრენინგი ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდები შეიქმნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. სულ 33 ახალგაზრდა. მათ ჩაუტარდათ ტრენინგი საარჩევნო პროცედურებისა და პროცესების სწორად წარმართვაზე და ახალგაზრდა ამომრჩეველთა უფლებებზე და მოვალეობებზე, პრეზიდენტის ინსტიტუტზე და დებატების გამართვის ხერხებსა და ტექნიკებზე. მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.



# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება: ჩატარდა 12 საინფორმაციო შეხვედრა ახალგაზრდა ამომრჩეველთათვის. ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია პრეზიდენტის ინსტიტუტზე, საარჩევნო პროცედურებისა და პროცესების სწორად წარმართვაზე და ახალგაზრდა ამომრჩეველთა უფლებებზე და მოვალეობებზე. შეხვედრები ჩატარდა ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ჯვაში, მარტვილსა და მესტიაში. შეხვედრას ჯამში დაესწრო 230 ახალგაზრდა ამომრჩეველი.



# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

ვიდეო რგოლის მომზადება: პროექტის ბოლო ეტაპზე მომზადდა სააგიტაციო ვიდეო რგოლი სახელწოდებით „მე მივდივარ არჩევნებზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტრენინგის მონაწილე და საინფორმაციო შეხვედრების მონაწილე აქტიური ახალგაზრდებმა. რგოლი ნაჩვენები იქნა ადგილობრივ ტელევიზიაში და განთავსდა ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდზე.

საგაზეთო სტატია: პროექტის საწყის და ბოლო ეტაპზე მომზადდა 2 საგაზეთო სტატია სტატიაში გაშუქდა ინფორმაცია პროექტის, განმხორციელებელი და დონორი ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ აქტივობებზე.



# რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

ახალგაზრდული დებატ კლუბი 2018: სწავლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი „ახალგაზრდული დებატ - კლუბი 2018“. გამარჯვებული გუნდი გამოავლინა ჟიურიმ. გამარჯვებულად გამოვლინდა რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „თანაზიარის“ გუნდი.

